საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №58
2025 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 29-ე, 30-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) *9[1]* მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი *9[1]*. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ელექტროენერგიის განაწილების დროებითი ტარიფები:

1.	**220/380 ვოლტი:**		
ა)	2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 აპრილამდე		
ა.ა)	მცირე საწარმოებისთვის	-	10.118 თეთრი/კვტსთ;
ა.ბ)	საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 101 კვტსთ-ის ჩათვლით	-	8.118 თეთრი/კვტსთ;
ა.გ)	საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით	-	10.118 თეთრი/კვტსთ;
ა.დ)	საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 301 კვტსთ-დან და მეტი	-	11.962 თეთრი/კვტსთ;
ა.ე)	არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები გარდა მცირე საწარმოებისა	-	10.118 თეთრი/კვტსთ;
2.	**3,3-6-10 კილოვოლტი:**		
ა)	2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 აპრილამდე		
ა.ა)	საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის	-	4.398 თეთრი/კვტსთ;
ა.ბ)	არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის	-	4.398 თეთრი/კვტსთ;
3.	**35-110 კილოვოლტი:**		

ა)	2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 აპრილამდე		
ა.ა)	არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის	-	2.350 თეთრი/კვტსთ;

“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**დავით თვალაბეიშვილი**
კომისიის წევრი	**გივი სანიკიძე**